საქართველოს მთავრობის

დადგენილება №534

2019 წლის 5 ნოემბერი

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტი „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისა და მეზღვაურის სამედიცინო მოწმობის გაცემაზე უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებისა და უფლებამოსილი ექიმის შერჩევის და პერიოდული მონიტორინგის წესისა და პირობების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტი „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისა და მეზღვაურის სამედიცინო მოწმობის გაცემაზე უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებისა და უფლებამოსილი ექიმის შერჩევის და პერიოდული მონიტორინგის წესისა და პირობების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №25 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/01/2014, 300160070.10.003.017587) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის (მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასებისა და მეზღვაურის სამედიცინო მოწმობის გაცემაზე უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებისა და უფლებამოსილი ექიმის შერჩევის და პერიოდული მონიტორინგის წესი და პირობები) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სტაციონარული ტიპის დაწესებულების შემთხვევაში – სტაციონარული დაწესებულების ნებართვისა და ნებართვის დანართების (შესაბამის საქმიანობებში) ასლები, ხოლო ამბულატორიული ტიპის დაწესებულების შემთხვევაში – მაღალი რისკის შემცველი საქმიანობის განხორციელების თაობაზე, სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში დადგენილი წესის შესაბამისად, წარდგენილი შეტყობინების ასლი;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 ნოემბრიდან.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**